

ინვაზიური მავნებლის - ბზის ალურას (*Cydalima perspectalis*) და მისი  
ბუნებრივი მტრების შესწავლა დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ  
რეგიონში.

გიორგი ბერეჩიკიძე



სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე ეკოლოგიის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ეკოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი მაჭარაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019 წელი

## განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”.

გ.ბერეჟიკიძე \_\_\_\_\_14.01.2019

## სარჩევი

განაცხადი.....	1
აბსტრაქტი.....	4
სამადლობელი.....	5
1. შესავალი .....	6
1.1. სიტუაციის ანალიზი და საკვლევე პრობლემის განსაზღვრა .....	6
1.2. კვლევის მნიშვნელობა .....	9
1.3. კვლევის მიზანი და საკვლევე საკითხები.....	10
1.4 საკვლევე საკითხები.....	11
2. ლიტერატურის მიმოხილვა .....	11
2.1 კოლხური ბზა.....	11
2.2 ბზის ალურა.....	13
2.3 ბზის ალურას ინვაზია საქართველოში .....	16
2.4 კოლხური ბზის სანიტარული მდგომარეობის ცვლილება 2014 წლიდან დღემდე.....	18
2.5 ბზის ალურას ბუნებრივი მტრები.....	23
2.6 სირფიდები - ბზის ალურას პოტენციური ბუნებრივი მტრები.....	25
3. მასალა და მეთოდика .....	27
4. შედეგები და დისკუსია.....	30
5. დასკვნები და რეკომენდაციები.....	36
6. ბიბლიოგრაფია.....	39

## აბსტრაქტი

საკვლევი ობიექტია საქართველოში ახლადგამოჩენილი ინვაზიური მავნებელი ბზის ალურა (*Cydalima perspectalis*) და მისი ბუნებრივი მტრები დასავლეთ საქართველოში.

ინვაზიური მავნებელი ახალ ფართობზე მოხვედრისას, როგორც წესი მარტივად მრავლდება, რადგან მას არ ყავს ადგილობრივი ბუნებრივი მტერი. საჭიროა გარკვეული პერიოდი, რომ ჩამოყალიბდეს ახალი კვებითი კავშირები, გამოჩნდეს ადგილობრივი მტაცებლები, პარაზიტოიდები თუ მავნებლის რიცხოვნობის მარეგულირებელი სხვა ცოცხალი ორგანიზმები (ბაქტერიები, ვირუსები). ჩემი მიზანი იყო დამედგინა მავნებლის წინააღმდეგ ბიოლოგიური და ქიმიური ინსექტიციდების, ფერომონიანი მწერმჭერებისა და ბრძოლის ალტერნატიული ღონისძიებების ეფექტურობა. ლიტერატურული მონაცემების დამუშავებითა და სავსე გასვლებით დამედგინა მავნებლის ბიოლოგიის თავისებურებები საქართველოს ბუნებრივ პირობებში, რიცხოვნობის დინამიკა, სიმჭიდროვე და ბუნებრივი მტრების პოტენციური მავნებლის რიცხოვნობის დარეგულირებაში.

კვლევით მიღებული მონაცემები დავამუშავე და შედეგად გავიგე ბრძოლის სხვადასხვა ღონისძიებების ეფექტურობა ბზის ალურას რიცხოვნობის დარეგულირებაში და ასევე მოვახდინე იმ მტაცებელი მწერების იდენტიფიცირება, რომლებიც მტაცებლობენ ინვაზიურ მავნებელზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ბზის ალურა, (*Cydalima perspectalis*), კოლხური ბზა, *Buxus colchica*, ბუნებრივი მტერი, სირფიდები (Syrphidae), ინსექტიციდი, ფერომონიანი მწერმჭერი.

## სამადლობელი

დიდი მადლობა მეცნიერებს და სპეციალისტებს, რომელთა დახმარების გარეშე ნაშრომს ვერ მოვაშადადებდი, სახელდობრ:

გიორგი მამადაშვილს, ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის აღრიცხვისა და კვლავწარმოების დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს, საჭირო ლიტერატურის მოწოდების, საველე სამუშაოებზე გაწეული დახმარებისათვის და ნაშრომში გამოყენებული ფოტომასალის მოწოდებისათვის.

თამარ ჭუნაშვილს, აშშ არმიის სამედიცინო კვლევითი დირექტორატის ასისტენტ-ენტომოლოგს.

ფერენც ლაკატოშს, სოპრონოს უნივერსიტეტის, სატყეო და ტყის დაცვის ინსტიტუტის სატყეო ფაკულტეტის, მეტყევე-ენტომოლოგს ჩუხჩუხელა ბუზების რკვევაში გაწეული დახმარებისათვის.

ასევე ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის მოვლა-აღდგენის სამმართველოს სპეციალისტებს მოწოდებული ანგარიშებისათვის.